დოქტორანტის ბიბლიოთეკა

მარიამ ჩხაიძე, ოთარ თავდიშვილი,
გიორგი ჩიჩუა, სოფიო ბარნოვი

# ხელოვნური ინტელექტი

(პრაქტიკულის მეთოდური მითითებანი)


„სტუ-ს IT კონსალტინგის სამეცნიერო ცენტრი”

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მარიამ ჩხაიძე, ოთარ თავდიშვილი,
გიორგი ჩიჩუა, სოფიო ბარნოვი

სადოქტორო პროგრამა „ინფორმატიკა“

# ხელოვნური ინტელექტი

(პრაქტიკული სამუშაოს მეთოდური მითითებანი)


დამტკიცებულია:

სტუ-ს „IT კონსალტინგის
სამეცნიერო ცენტრის“ სარედაქციო
კოლეგიის მიერ ოქმი N7, 15.10.2020

თბილისი

2020

**უაკ 004.5**

განხილულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების არეალები და მაგალითები. კერძოდ, ისეთი სფეროები და საკითხები, როგორიცაა ავტონომიური დაგეგმვა, თამაშების მოდელირება, ტრანსპორტის ავტონომიური მართვა, სამედიცინო დიაგნოსტიკა, სამედიცინო გამოსახულებების დამუშავება, საბანკო სექტორი, ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება, რისკების შეფასება, დაზღვევა, განათლების სფერო, ნევროლოგია, ფსიქოლოგია, ლინგვისტიკა, ქცევის მოდელირება, რეესტრი, გამოსახულებების ანალიზი, კრიმინალისტიკა, უსაფრთხოება და ა.შ.

წიგნში შემოთავაზებულია აღნიშნული თეორიული საკითხების შესაბამისი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა დოქტორანტებთან ერთად პრაქტიკულ მეცადინეობებზე.

მეთოდური მითითებები რეკომენდებულია ინფორმატიკის სპეციალობის დოქტორანტებისათვის, ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების სფეროში (ICT 0613).

**რეცენზენტები:**

პროფ. ა. ცინცაძე (სტუ)
აკად. დოქტორი გ. კივილაძე (ლიბერთი ბანკის წამყვანი პროგრამისტი)





**ISBN 978-9941-8-2866-9**

## სასწავლო კურსის მიზანი

გაუღრმავოს ცოდნა ხელოვნური ინტელექტის ცალკეული დარგების მუშაობის პრინციპების, მეთოდების, თანამედროვე მიდგომებისა და პარადიგმების შესახებ, ისეთი მიმართულებით, როგორიცაა ავტონომიური დაგეგმვა, თამაშების მოდელირება, ტრანსპორტის ავტონომიური მართვა, სამედიცინო დიაგნოსტიკა და ა.შ. ინფორმატიკის სფეროში, სხვადასხვა პრობლემების გადასაჭრელად სტუდენტს შეასწავლოს ხელოვნური ინტელექტის თანამედროვე კონცეფციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები.

## საგნის შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები

*განსაზღვრავს* ხელოვნური ინტელექტის ცალკეული დარგების მეთოდებსა და ალგორითმებს, ასევე პროგრამული და ტექნიკური იმპლემენტაციის საკითხებს შესაბამის ბიბლიოთეკების, ფრეიმვორკების და აპლიკაციების გამოყენებით.

*აიდენტიფიცირებს* ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენების აქტუალურობას და აუცილებლობას თანამედროვე საინფორმაციო სისტემებში ეთიკური საკითხების გათვალისწინებით.

*არჩევს* ხელოვნური ინტელექტის დარგებისთვის ამოცანებს და მისი გადაწყვეტის გზებს შესაბამისი მეთოდების და ალგორითმების გამოყენებით

*აკეთებს* დასაბუთებულ დასკვნებს კონკრეტული ინტელექტუალური სისტემის მდგომარეობის, შესაძლო პრობლემების და მოქმედების შემდგომი ბიჯების დასახვის შესახებ, შესაბამისი ეთიკური ნორმების გათვალისწინებით

*აფორმირებს* ლიტერატურის გამოყენებით მიღებული გამოცდილების საფუძველზე, ხელოვნური ინტელექტუალური სისტემების დაგეგმვას და მუშაობის პროცესში მიმდინარე სხვადასხვა რთული პროცესების ანალიზს

*აწარმოებს* ხელოვნური ინტელექტის სფეროში კვლევის მიღებული შედეგების დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენას, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან ამ საკითხებთან დაკავშირებულ პოლემიკაში ჩართვას.

## საათების განაწილება (სტუდენტის დატვირთვა)

კრედიტების რაოდენობა 7. ლექცია -30 სთ., პრაქტიკული (კომპიუტერულ კლასში) – 30 სთ. დამოუკიდებელი მუშაობა 112 სთ.

## პრაქტიკული სამუშაოს თემები:

**1. ინტელექტი – ბუნებრივი და ხელოვნური:** ხელოვნური ინტელექტის კლასიფიკაცია, **ხელოვნური ინტელექტის განვითარების ეტაპები:** არსებული მაგალითების ვიზუალური წარმოდგენა, ხელოვნური ინტელექტის განვითარების ისტორიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების და პირების ბიოგრაფიების მოძიება და წარმოდგენა.

**2. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების არეალები და მაგალითები:** ავტონომიური დაგეგმვა, თამაშების მოდელირება, ტრანსპორტის ავტონომიური მართვა, სამედიცინო დიაგნოსტიკა, სამედიცინო გამოსახულებების დამუშავება, საბანკო სექტორი, ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება, რისკების შეფასება, დაზღვევა, განათლების სფერო, ნევროლოგია, ფსიქოლოგია, ლინგვისტიკა, ქცევის მოდელირება, რეესტრი, გამოსახულებების ანალიზი, კრიმინალისტიკა, უსაფრთხოება და ა.შ. - ყოველი დარგისთვის გამოყენების მკაფიო მაგალითების წარმოდგენა.

**3. ხელოვნური ინტელექტის მათემატიკური საფუძვლები:** გრაფები, სიმრავლეები, ალბათობის თეორია - პრაქტიკული სავარჯიშოების ამოხსნა.

**პრობლემათა გადაწყვეტა** - ძიების ალგორითმების ბლოკ-სქემების ჩამოყალიბება.

**4. ინტელექტუალური აგენტები.** აგენტების სტრუქტურა და პროგრამები, მარტივი რეფლექსური აგენტები, რეფლექსური აგენტები მოდელით, აგენტები მიზნობრივი ფუნქციით, სარგებლიანობაზე დაფუძნებული აგენტები, სწავლადი აგენტები, ინტელექტუალური აგენტების რეალურ გარემოში არსებული მაგალითები და მათი ჩამოყალიბება.

**5. მანქანური სწავლება და ღრმა სწავლება.** მანქანური სწავლების განსაზღვრება, სწავლება „მასწავლებლით“ (Supervised learning). სწავლება „მასწავლებლის გარეშე“ (Unsupervised Learning). მანქანური სწავლების მიდგომები. თვითსწავლება, რეგრესია, კლასტერიზაცია. თვითორგანიზებადი სისტემები, მანქანური სწავლების გამოყენების მაგალითები და კონკრეტული ამომცნობი სისტემების ჩვენება, პრაქტიკული ამოცანა მანქანურ სწავლებაში - გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა.

**6. ხელოვნური ნეირონული ქსელები.** ბუნებრივი ნეირონი და მისი სტრუქტურული ელემენტები, ძირითადი ფუნქციები. ნეირონული დოქტრინა და პარადიგმების ცვლა, ხელოვნური ნეირონი, მისი სტრუქტურა და თვისებები, ერთშრიანი და მრავალშრიანი ნეირონული ქსელები, კლასიფიკაცია, პერსეპტრონები. ციფრების ამოცნობის მაგალითი ნეირონული ქსელებით MatLab-ის გამოყენებით.

**7. სახეთა ამოცნობა და ბიომეტრია.** ბიომეტრიული ტექნოლოგიები, ვერიფიკაცია, იდენტიფიკაცია. ბიომეტრიული ამოცნობის მეთოდების კლასიფიკაცია. ბიომეტრიული ნიშნები (თვალი, პაპილარული ნახატი, ხმა, სახე და სხვა). ადამიანის პირისახის გამოსახულების, პაპილარული ნახატის მიღება და დამუშავების მაგალითი OpenCV-ს გამოყენებით.

**8. ცოდნა და ცოდნის წარმოდგენის საშუალებები, ექსპერტული სისტემები მონაცემები და ცოდნა, ცოდნის წარმოდგენის მოდელები.** ცოდნის პრაქტიკულად მიღების მეთოდები, ექსპერტული სისტემების დანიშნულება, სტრუქტურა, კლასიფიკაცია. ექსპერტული სისტემების მაგალითები, მარტივი ექსპერტული სისტემის შემუშავების მაგალითი Clips-ის გამოყენებით.

**9.კომპიუტერული ხედვა.** გამოსახულების ფორმირება და წარმოდგენა, გამოსახულების დისკრეტიზაცია და ქვანტირება, გამოსახულებათა გაუმჯობესება და რესტავრაცია, გამოსახულებათა ანალიზი, გამოსახულების სეგმენტაცია. გამოსახულების ანალიზის და სეგმენტაციის პრაქტიკული მაგალითები Matlab-ის გამოყენებით.

**10. ბუნებრივი ენის დამუშავება.**წესებზე დაფუძნებული და სტატისტიკური NLP. ძირითადი ამოცანები: სინტაქსი, სემანტიკა, დისკურსი, დიალოგები. ქართული ბუნებრივი ენის დამუშავების მაგალითები

**11. თამაშები და მანქანური შემოქმედება.** ხელოვნური ინტელექტის როლი და მონაწილეობის მაგალითები კომპიუტერულ თამაშებში. მომხმარებლის მიერ არამართვადი პერსონაჟები, ქაოსის, ხალხთა მოძრავი მასების, ამინდის, გზის ძიების და გასწრება-დაწევის პროცესების მართვა. პრაქტიკული ამოცანა კონკრეტული თამაშის მაგალითზე .

**12. რობოტები.** ხელოვნური ინტელექტის ადგილი რობოტოტექნიკაში. რობოტების გამოყენება სხვადასხვა სფეროში. - არსებული მაგალითების ჩვენება

**13. ევოლუციური მოდელირება–გენეტიკური ალგორითმები, ჰიბრიდული ინტელექტუალური სისტემები.** გენეტიკური ალგორითმის მედიცინაში გამოყენების მაგალითი,

არსებული ჰიბრიდული ინტელექტუალური სისტემების მიმოხილვა.

**14. ხელოვნური ინტელექტის ბიბლიოთეკები, ფრეიმვორკები და აპლიკაციები**

Tensorflow, DeepLearning Studio, OpenCV, Matlab, Clips,Lips, Panda, DeepLearning Studio, Theano, Keras, Apache Mahout, Apache Spark MLlib, - თითოეულის დათვალიერება, მიმოხილვა და ძირითადი სამუშაო პრინციპების გაცნობა.

**15. ხელოვნური ინტელექტის ეთიკა და ფილოსოფია, ხელოვნური ინტელექტის სამომავლო განვითარება.** ეთიკის საკითხები ხელოვნურ ინტელექტში - ეთიკის პრინციპების ჩამოყალიბება. არსებული საფრთხეების და რისკების მაგალითების მოყვანა.

## პრაქტიკული სამუშაო #5

### ამოცანა 1: გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა გამოსახულებებზე

პრაქტიკული სამუშაო სრულდება დაპროგრამების ენა C++-ზე

პირველ რიგში, არსებული გამოსახულებების ბაზა დავყოთ სასწავლო და საკონტროლო ნაკრებებად. მუშაობას შევუდგეთ სასწავლო ნაკრების გამოყენებით. წავიკითხოთ გრაფიკული ფაილები

პროგრამიდან და არსებული გამოსახულება გადავიყვანოთ ბინარულ ფორმატში პროგრამული კოდის შემდეგი ფრაგმენტის გამოყენებით:

```
#include <iostream>
#include <stdio.h>
#include <string.h>
#include <malloc.h>
unsigned char *read_bmp(char *fname,int* _w, int* _h) {
unsigned char head[54];
FILE *f = fopen(fname,"rb");      // BMP header is 54 bytes
fread(head, 1, 54, f);
int w = head[18] + ( ((int)head[19]) << 8) + ( ((int)head[20]) << 16) + ( ((int)head[21]) << 24);
int h = head[22] + ( ((int)head[23]) << 8) + ( ((int)head[24]) << 16) + ( ((int)head[25]) << 24);
int lineSize = (w / 8 + (w / 8) % 4);
int fileSize = lineSize * h;
unsigned char *img = malloc(w * h), *data = malloc(fileSize);      // skip the header
fseek(f,54,SEEK_SET);      // skip palette - two rgb quads, 8 bytes
fseek(f, 8, SEEK_CUR);      // read data
fread(data,1,fileSize,f);      // decode bits
int i, j, k, rev_j;
for(j = 0, rev_j = h - 1; j < h ; j++, rev_j--) {
   for(i = 0 ; i < w / 8; i++) {
          int fpos = j * lineSize + i, pos = rev_j * w + i * 8;
for(k = 0 ; k < 8 ; k++)
     img[pos + (7 - k)] = (data[fpos] >> k ) & 1;         }     }
free(data);     *_w = w; *_h = h;     return img; }
int main() {     int w, h, i, j;
unsigned char* img = read_bmp("test1.bmp", &w, &h);
for(j = 0 ; j < h ; j++)
 {
     for(i = 0 ; i < w ; i++)
          cout<< img[j * w + i] ? '0' : '1' ;
      cout<<"\n";
 }
 return 0;
}
```

მიღებული გამოსახულებები გამოვიყენოთ ჯერ სწავლებისთვის, ამისთვის ყველა გამოსახულებისათვის (ამ შემთხვევაში უკვე გვაქვს ყოველი გამოსახულების შესაბამისი გეომეტრიული ფიგურის ამსახველი ბინარული მასივები, მათი ზედდებით (სუპერპოზიციით) გამოვთვალოთ მინი პორტრეტი და მაქსი პორტრეტი:

მინი პორტრეტში აისახება მხოლოდ ის მახასიათებელი ნიშანი, რომელიც აქვს ყველა გამოსახულების შესაბამისს რეალიზაციას ერთდროულად. ამ შემთხვევაში ლაპარაკია პიქსელის არსებობაზე გამოსახულებაში. ხოლო მაქსი პორტრეტში აისახება ყოველი პიქსელი, რომელიც შეიძლება ქონდეს შესაბამისად, მინი პორტრეტის მიღების პროგრამული კოდი იქნება:

```
for (k = 0; k < 20; k++) {//გვაქვს 20 რეალიზაცია
  for ( i = 0; i < h; i++ ) {
     for (j = 0; j < w; j++ ) {
        mini[i][j] *= img[i][j];
  }   }
  for ( i = 0; i < h; i++ ) {
     for (j = 0; j < w; j++ ) {
        maxi[i][j] += img[i][j];
  } }  }
```

ამის შემდეგ ვიწყებთ ამოცნობის პროცედურის განხორციელებას. როგორც შესაბამისი ლიტერატურიდან უკვე ვიცით, უცნობი რეალიზაციის ცალსახა ამოცნობა სრულდება მხოლოდ პირველი სიტუაციის შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც უცნობი რეალიზაცია მთლიანად თავსდება მაქსი პორტრეტში და მინი პორტრეტი მთლიანად თავსდება უცნობ რეალიზაციაში.

```
for (k = 0; k < 20; k++) {//გვაქვს 20 უცნობი რეალიზაცია
for (p = 0; p < 7; p++) {//ეტალონების რაოდენობა
  for ( i = 0; i < h; i++ ) {
     for (j = 0; j < w; j++ ) {
     if ( img[i][j] && !maxi{i][j] ) && ( !img[i][j] && min[i][j] ) {
          index = p;
           break;
      } } }
} }
cout<<geo_shapes[index]<<endl;  //ამოცნობილი ფიგურის გამოტანა,
```

სადაც geo_shapes[7] = {“samkutxedi”; ”kvadrati”; ”wre”; ”rombi”; ”trapecia”; “wrfe”; “otxkutxedi”};

### ამოცანა 2: ნაბეჭდი ტექსტის ამოცნობა

ამოცანის შესასრულებლად გამოიყენება დაპროგრამების გარემო C++.

ამოცანა შედგება ორი ეტაპისაგან: 1. სწავლება, 2. ამოცნობა.

ამოცნობის პროცესი იყოფა ეტაპებად:

1. სურათის მიღება;
2. სტრიქონების გამოყოფა;
3. სტრიქონში ასოების გამოყოფა;
4. გამოყოფილი ასოების ამოცნობა.

პროგრამას შესასვლელზე მიეწოდება რაიმე ნაბეჭდი ტექსტის ამსახველი სურათი (.png , .gif , .bmp ან .jpg ფაილი);

ამ სურათიდან პირველ ეტაპზე ხდება ცალკეული სიმბოლოების - ასოების გამოყოფა, ანუ Cell ობიექტების დადგენა, რომელთა სტრუქტურაა:

```
class Cell
{
        public int Top;
        public int Bottom;
        public int Left;
        public int Right;
}
```

ამისთვის ჯერ გამოიყოფა სტრიქონები, შესაბამისი სტრუქტურა:

```
class Line
{
        public int Top;
        public int Bottom;
}
```

რისთვისაც ციკლში ვამოწმებთ

```
public static bool scanHorisontal(Bitmap bmp, int y, int x1, int x2)
```

ფუნქციის მნიშვნელობებს. ეს ფუნქცია ამოწმებს ჰორიზონტალურ ხაზში არის თუ არა შავი წერტილი, შემდეგ ხდება Cells ობიექტის გამოთვლა, რომლის ტიპია:

```
public class Cells
    {
        public List<CellRow> cellRows = new List<CellRow>();
    }
```

ხოლო CellRow არის:

```
public class CellRow
    {
        public List<ComplexCell> cells = new List<ComplexCell>();
```

```
    }
```
სადაც ComplexCell არის:
```
public class ComplexCell : Cell
    {   public CharacterBMP CBMP = new CharacterBMP();
        public CharacterVector CV = new CharacterVector();
        public char c = ' ';
    }
```
ამ კლასში CBMP არის ასოს ბიტმაპი და CV არის ასოს შესაბამისი ვექტორი.
ასოებისთვის, პროგრამაში განიხილება 64x64 ზომის სურათები, რომელთა გამოთვლა (სკალირება) ხდება შემდეგი კოდით:
```
Bitmap bmp2 = new Bitmap(64, 64);
                    double Kwid = 64/Width;
                    double Khig = 64/Height;
                    for (int k = 0; k < 64; k++)
                        for (int m = 0; m < 64; m++)
                        {
            Color color = bmp.GetPixel(Left + (int)(k / Kwid), Top + (int)(m / Khig));
                            bmp2.SetPixel(k, m, color);
                        }
```
ვექტორის გამოთვლა ხდება ფუნქციით:
```
public void ComputeVec(CharacterBMP cbmp)
        {
            for (int i = 0; i < 64; i++)
            {
                V[i] = 0;
                for (int j = 0; j < 64; j++)
                {
                    if (TTRClass.isBlack(cbmp.bmp.GetPixel(i, j)))
                        V[i] = V[i] + 1;    }
            }
            for (int i = 0; i < 64; i++)
            {
                V[64 + i] = 0;
                for (int j = 0; j < 64; j++)
                {
                    if (TTRClass.isBlack(cbmp.bmp.GetPixel(j, i)))
                        V[64 + i] = V[64 + i] + 1; }
            }
            V[64 + 64] = cbmp.Height / cbmp.Width;
            V[64 + 64 + 1] = cbmp.Width / cbmp.Height;
            Width = cbmp.Width;
            Height = cbmp.Height;
        }
```
ყველა ასოს გამოთვლის შემდეგ ხდება მათი ამოცნობა. ამისთვის გამოიყენება მახალანობისის მანძილის ფუნქცია Distance:
```
public double Distance(CharacterVector cv1, CharacterVector cv2)
        {double R = 0;
            for (int i = 0; i < 64 + 64 + 2; i++)
            {  R = R + (cv1.V[i] - cv2.V[i]) * (cv1.V[i] - cv2.V[i]);
              }
            R = Math.Sqrt(R);
            return R;
```

}

რომელ სიმბოლოზე - ასოზეც აღწევს ეს ფუნქცია მინიმუმს, ე. ი. ის ასოა ამოცნობის შედეგი.

## პრაქტიკული სამუშაო #6

### ამოცანა 1: ციფრების ამოცნობა კონვოლუციური (ნახვევი) ნეირონული ქსელით MatLab-ის გამოყენებით

ამოცანის შესასრულებლად გამოიყენება პროგრამა Matlab.

შექმენით ღრმა სწავლების ნეირონული ქსელი კლასიფიკაციის ამოცანისთვის. ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა შევქმნათ და მოვამზადოთ მარტივი კონვოლუციური ნეირონული ქსელი ღრმა სწავლების კლასიფიკაციისთვის. კონვოლუციური ნეირონული ქსელები გამოიყენება ღრმა სწავლებისთვის და განსაკუთრებით, გამოსახულების ამოცნობისთვის.

პირველ რიგში ამოცანის გადაწყვეტისას გაითვალისწინეთ შემდეგი თანმიმდევრობები:

1) ჩამოტვირთეთ და შეისწავლეთ გამოსახულების მონაცემები.
2) განსაზღვრეთ ქსელის არქიტექტურა.
3) მიუთითეთ სწავლების (ტრენინგის) ვარიანტები.
4) მოამზადეთ ქსელი.
5) მოახდინეთ პროგნოზირება ახალი მონაცემებისას და გამოთვალეთ კლასიფიკაციის სიზუსტე.

#### 1. ჩატვირთეთ და შეისწავლეთ გამოსახულების მონაცემები

დავიწყოთ მონაცემთა მომზადება. ჩამოტვირთეთ ციფრების ნიმუშების მონაცემები, როგორც გამოსახულებების არსებული მონაცემთა ბაზა 'DigitDataset'. ბრძანება imageDatastore ავტომატურად აღწერს სურათებს ფოლდერის სახელების საფუძველზე და ინახავს მონაცემებს ImageDatastore ობიექტად. სურათის მონაცემთა ბაზა საშუალებას გაძლევთ შეინახოთ დიდი გამოსახულების მონაცემები. განვიხილოთ გამოსახულების კლასიფიკაციის მაგალითი. მონაცემთა ბაზა თუ გვექნება სხვა ტიპის ფაილების, მაგ., ტექსტურის სახით, ასეთ შემთხვევაში საერთო სამუშაო პროცესი დარჩება უცვლელი.

მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ გვაქვს გამოსახულებების მონაცემთა ბაზა, რომელსაც გამოვიყენებთ სწავლებისთვის. პირველ რიგში შევქმნით imagedatastore - ტიპს. ასეთი ობიექტის შექმნის შემდეგ, imds შეინახავს ლინკს ჩვენს მონაცემთა ბაზაზე. ეს ობიექტი შეიცავს დამატებით მეთოდებს, რომელსაც ახლა განვიხილავთ. გადავიდეთ MATLAB-ის ბრძანების ფანჯარაში და მივუთითოთ მისამართი ჩვენი გამოსახულებების ბაზის. ჩვენი ბაზა არის ხელნაწერი ციფრების ბაზა 0-დან 9-მდე. კლასიკური მაგალითია, რითიც დაიწყო პრინციპში ღრმა სწავლება და ეს არის პირველი ბაზა, რომელზეც იყო აწყობილი ღრმა სწავლების ალგორითმი. მოვნიშნავთ მისამართს, რომ მივუთითოთ ბაზა

```
path='C:\Program Files\Polyspace\R2019a\toolbox\nnet\nndemos\nndatasets
\DigitDataset'
```

Imds=imageDatastore(path);

ამ დროს შეცდომა გამოდის, რადგან ის ვერ ხედავს ჩვენს ფოლდერში ვერანაირ სურათს, ის ხედავს მხოლოდ სხვადასხვა ფოლდერებს. ამიტომაც Matlab-ში გამოდის შეცდომა, რის გამოც უნდა მივუთითოთ 'includeSubfolders',

```
imds=imageDatastore(path,'includeSubfolders',true,'LabelSource','foldernames')
```

იმისათვის, რომ დავაყენოთ ნიშნები უნდა დავუმატოთ ჩვენს ფუნქციაში წყვილი თვისება: imds= imageDatastorge(path, 'LabelSource', true, 'folder names', ამის შემდეგ აღარ იქნება ნიშან-თვისებები ცარიელი. ეს იქნება შევსებული ფოლდერების დასახელებებით. ასე, რომ ახლა პრაქტიკულად ყველაფერი მზად გვაქვს, რომ imds ობიექტს გადავცეთ სწავლებისთვის. ეს ობიექტი შეძლებს აიღოს ბაზიდან რამდენიმე გამოსახულება, შექმნას ქსელი, დააყენოს პარამეტრები. მოვახდინოთ რამდენიმე სურათის ჩვენება მონაცემთა ბაზიდან:

```
figure;
perm = randperm(10000,20);
for i = 1:20
    subplot(4,5,i);
```

```
    imshow(imds.Files{perm(i)});
end
```



საერთოდ ძალიან კარგი იქნება, თუ ჩვენ ამ მონაცემებს დავყოფთ ნაწილებად სასწავლო და სატესტო (საკონტროლო) ნაკრებებად. ამის გაკეთება შეიძლება შემდეგნაირად:

Methods (imds) მიმართავს ბრძანება splitEaelLabel (მონაცემთა ბაზის დაყოფა) და ბრძანება CountEaelLabel (ითვლის ფაილთა რაოდენობას).

Imds.countEalabel

```
labelCount = countEachLabel(imds)
labelCount = 10×2 table
```

| N | Label | Count | | N | Label | Count |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 0 | 1000 | | 6 | 5 | 1000 |
| 2 | 1 | 1000 | | 7 | 6 | 1000 |
| 3 | 2 | 1000 | | 8 | 7 | 1000 |
| 4 | 3 | 1000 | | 9 | 8 | 1000 |
| 5 | 4 | 1000 | | 10 | 9 | 1000 |

ჩვენ ვხედავთ ცხრილს. ციფრი 0 - შეიცავს 1000 გამოსახულებას ანუ თითოეული ციფირი შეიცავს 1000 ხელნაწერ გამოსახულებას. თითოეული გამოსახულება არის 28*28*1 პიქსელი.

```
img = readimage(imds,1);
size(img)
ans = 1×2
    28    28
```

**2. შეგვიძლია დავყოთ მონაცემები სასწავლო და სატესტო ნაკრებებად ჩვენი არჩევანით:**

[train, test]=imds.splitEaelLabel(0,75).

ასევე მას უნდა მივანიჭოთ გამოსასვლელი არგუმენტები. პირველი არგუმენტი ეს არის სწავლება და მცირე ტესტი. გამოსასვლელზე ვხედავთ, რომ მივიღეთ ორი არგუმენტი Train და test. Train შეიცავს 0,75 იგივე 75% სასწავლო რეალიზაციებს და დანარჩენი 35% იქნება ტესტირებისთვის. თუ არ გვინდა, რომ ეს გამოსახულებები მიყვებოდეს თანმიმდევრულად, მაშინ უნდა მივანიჭოთ კიდევ ერთი არგუმენტი `'randomize'`.

```
numTrainFiles = 750;
[trainData,testData]=splitEachLabel(imds, 750, 'randomize')
```

ჩვენი მიზანია შრეების პარამეტრების ოპტიმიზაცია, მაქსიმალურად კარგი შედეგის მისაღებად.

**3. ავაგოთ კონვოლუციური (ნახვევი) ნეირონული ქსელის არქიტექტურა**

```
layers = [
    imageInputLayer([28 28 1])
    convolution2dLayer(5,20)
    reluLayer
    maxPooling2dLayer(2,'Stride',2)
```



```
    fullyConnectedLayer(10)
    softmaxLayer
    classificationLayer];
>> Layer
```

**ImageInputLayer ([28 28 1]**-ში ვუთითებთ სურათის ზომას, რომელიც ამ შემთხვევაში არის [28*28*1]. ეს ციფრები შეესაბამება სიმაღლეს, სიგანეს და არხის ზომას. ციფრული მონაცემები შედგება ნაცრისფერი ჩრდილებისგან, ამიტომ არხის ზომა არის 1. ფერადი სურათისთვის არხის ზომა იქნება 3, რაც RGB მნიშვნელობებს შეესაბამება.

**convolution2dLayer(5,20)**- კონვოლუციურ შრეში პირველი არგუმენტი არის filterSize (ფილტრის ზომა), რომელიც არის ფილტრების სიმაღლე და სიგანე 5*5-ზე, შეგიძლიათ გამოვიყენოთ ასევე სხვადასხვა ზომა ფილტრც. მეორე არგუმენტი არის numFilters (ფილტრების რაოდენობა).

**ReLU Layer** - არის არაწრფივი აქტივაციის ფუნქცია. აქტივაციის ყველაზე გავრცელებული ფუნქცია რექტიფიკაცია წრფივი ერთეული (ReLU), რომელსაც პარამეტრები არ აქვს.

**Max Pooling Layer** - არის ფილტრის ზომა [2*2], რომლის ბიჯიც ('Stride') არის 2.

**Fully Connected Layer (10)** - სრულად ბმული ქსელი. როგორც მისი სახელიდან ჩანს, სრულად დაკავშირებული ფენა არის ფენა, რომელშიც ნეირონები უკავშირდება წინა ფენის ყველა ნეირონს. ეს ფენა აერთიანებს წინა მახასიათებლების მიერ სურათზე ნასწავლ ყველა შედეგს. ბოლო სრულად დაკავშირებული ფენა აერთიანებს მახასიათებლებს სურათების კლასიფიკაციისთვის. ამიტომ, საბოლოოდ სრულად დაკავშირებული შრის OutputSize პარამეტრი უდრის მონაცემების კლასების რაოდენობას. ამ მაგალითში გამომავალი ზომაა 10, რაც შეესაბამება 10 კლასს.

**Softmax Layer** - აქტივაციის ფუნქცია ახდენს სრულად დაკავშირებული ფენის გამოსვლის ნორმალიზებას. ამ შრეს არ აქვს პარამეტრები.

**Classification Layer** - კლასიფიკაციის ფენა საბოლოო ფენა არის კლასიფიკაციის ფენა.

ახლა ჩვენი მიზანია არჩეული სასწავლო ნაკრების სწავლება ქსელისთვის და ამის შემდეგ შევამოწმოთ სატესტო ნაწილი და ვნახოთ თუ როგორ ისწავლა ქსელმა და რა შედეგებს მოგვცემს.

### 4. დასწავლის პარამეტრები.

ქსელის სტრუქტურის განსაზღვრის შემდეგ მივუთითოთ სწავლების პარამეტრები. სწავლებისთვის გამოვიყენოთ გრადიენტული დაშვების ალგორითმი, რომლის საწყისი მნიშვნელობაა 0,01, ხოლო ეპოქების (ბიჯების) რაოდენობაა 4. ეპოქა არის ტრენინგის სრული ციკლი ტრენინგის მთელ მონაცემთა ნაკრებზე.

**პროგრამული კოდი:**

```
%path%
path='C:\Program
Files\Polyspace\R2019a\toolbox\nnet\nndemos\nndatasets\DigitDataset'
imds=imageDatastore(path,'includeSubfolders',true,'LabelSource','foldernames')
[trainData,testData]=splitEachLabel(imds, 750, 'randomize')
%Arrchitecture%
Layer=[...
    imageInputLayer([28 28 1]),...
    convolution2dLayer(5,20),...
    reluLayer,...
    maxPooling2dLayer(2,'stride',2),...
    fullyConnectedLayer(10),...
    softmaxLayer,...
    classificationLayer];
%optimization%
options=trainingOptions('sgdm')
options=trainingOptions('sgdm', 'InitialLearnRate', 0.0005, 'MaxEpochs', 25,
'plots', 'training-progress')
net=trainNetwork(trainData, Layer, options)
t=classify(net,testData)
```

```
sum(t==testData.Labels)/numel(t)
```

**5. შედეგი:**

```
>> convolutionnet
path =  'C:\Program Files\Polyspace\R2019a\toolbox\nnet\nndemos\nndatasets\DigitDataset'
imds =  ImageDatastore with properties:
                    Files: {
                        ' ...\R2019a\toolbox\nnet\nndemos\nndatasets\DigitDataset\0\image10000.png';
                        ' ...\R2019a\toolbox\nnet\nndemos\nndatasets\DigitDataset\0\image9001.png';
                        ' ...\R2019a\toolbox\nnet\nndemos\nndatasets\DigitDataset\0\image9002.png'
                         ... and 9997 more
                        }
                    Labels: [0; 0; 0 ... and 9997 more categorical]
    AlternateFileSystemRoots: {}
                ReadSize: 1
                 ReadFcn: @readDatastoreImage
trainData =
  ImageDatastore with properties:
                    Files: {
                        ' ...\R2019a\toolbox\nnet\nndemos\nndatasets\DigitDataset\0\image10000.png';
                        ' ...\R2019a\toolbox\nnet\nndemos\nndatasets\DigitDataset\0\image9001.png';
                        ' ...\R2019a\toolbox\nnet\nndemos\nndatasets\DigitDataset\0\image9002.png'
                         ... and 7497 more
                        }
                    Labels: [0; 0; 0 ... and 7497 more categorical]
    AlternateFileSystemRoots: {}
                ReadSize: 1
                 ReadFcn: @readDatastoreImage
testData =
  ImageDatastore with properties:
                    Files: {
                        ' ...\R2019a\toolbox\nnet\nndemos\nndatasets\DigitDataset\0\image9006.png';
                        ' ...\R2019a\toolbox\nnet\nndemos\nndatasets\DigitDataset\0\image9010.png';
                        ' ...\R2019a\toolbox\nnet\nndemos\nndatasets\DigitDataset\0\image9019.png'
                         ... and 2497 more
                        }
                    Labels: [0; 0; 0 ... and 2497 more categorical]
    AlternateFileSystemRoots: {}
                ReadSize: 1
                 ReadFcn: @readDatastoreImage
options =
  TrainingOptionsSGDM with properties:
                    Momentum: 0.9000
             InitialLearnRate: 0.0100
    LearnRateScheduleSettings: [1×1 struct]
            L2Regularization: 1.0000e-04
        GradientThresholdMethod: 'l2norm'
            GradientThreshold: Inf
```

```
                MaxEpochs: 30
            MiniBatchSize: 128
                  Verbose: 1
          VerboseFrequency: 50
            ValidationData: []
       ValidationFrequency: 50
        ValidationPatience: Inf
                  Shuffle: 'once'
           CheckpointPath: ''
      ExecutionEnvironment: 'auto'
                WorkerLoad: []
                 OutputFcn: []
                     Plots: 'none'
          SequenceLength: 'longest'
      SequencePaddingValue: 0
      DispatchInBackground: 0
options =
  TrainingOptionsSGDM with properties:

                Momentum: 0.9000
        InitialLearnRate: 5.0000e-04
   LearnRateScheduleSettings: [1×1 struct]
        L2Regularization: 1.0000e-04
    GradientThresholdMethod: 'l2norm'
        GradientThreshold: Inf
                MaxEpochs: 25
            MiniBatchSize: 128
                  Verbose: 1
          VerboseFrequency: 50
            ValidationData: []
       ValidationFrequency: 50
        ValidationPatience: Inf
                  Shuffle: 'once'
           CheckpointPath: ''
      ExecutionEnvironment: 'auto'
                WorkerLoad: []
                 OutputFcn: []
                     Plots: 'training-progress'
          SequenceLength: 'longest'
      SequencePaddingValue: 0
      DispatchInBackground: 0
Training on single CPU.
Initializing input data normalization.
|=========================================================================================|
| Epoch  | Iteration | Time Elapsed  | Mini-batch | Mini-batch  | Base Learning |
|        |           |   (hh:mm:ss)  |  Accuracy  |     Loss    |      Rate     |
```

```
|=========================================================================================|
|           1 |           1 |     00:00:00 |      11.72% |         13.5438 |      0.0005 |
|           1 |          50 |     00:00:06 |      70.31% |          2.0759 |      0.0005 |
|           2 |         100 |     00:00:13 |      79.69% |          1.1465 |      0.0005 |
|           3 |         150 |     00:00:19 |      83.59% |          0.7098 |      0.0005 |
|           4 |         200 |     00:00:25 |      89.84% |          0.5933 |      0.0005 |
|           5 |         250 |     00:00:31 |      92.19% |          0.2863 |      0.0005 |
|           6 |         300 |     00:00:38 |      94.53% |          0.1859 |      0.0005 |
|           7 |         350 |     00:00:45 |      94.53% |          0.2633 |      0.0005 |
|           7 |         400 |     00:00:51 |      96.88% |          0.1282 |      0.0005 |
|           8 |         450 |     00:00:57 |      98.44% |          0.0712 |      0.0005 |
|           9 |         500 |     00:01:04 |     100.00% |          0.0031 |      0.0005 |
|          10 |         550 |     00:01:11 |     100.00% |          0.0020 |      0.0005 |
|          11 |         600 |     00:01:17 |      99.22% |          0.0582 |      0.0005 |
|          12 |         650 |     00:01:23 |      99.22% |          0.0102 |      0.0005 |
|          13 |         700 |     00:01:29 |      98.44% |          0.0381 |      0.0005 |
|          13 |         750 |     00:01:36 |      99.22% |          0.0259 |      0.0005 |
|          14 |         800 |     00:01:43 |     100.00% |          0.0001 |      0.0005 |
|          15 |         850 |     00:01:49 |     100.00% |       8.5763e-05 |      0.0005 |
|          16 |         900 |     00:01:56 |     100.00% |          0.0001 |      0.0005 |
|          17 |         950 |     00:02:06 |     100.00% |          0.0001 |      0.0005 |
|          18 |        1000 |     00:02:18 |     100.00% |       2.2942e-05 |      0.0005 |
|          19 |        1050 |     00:02:29 |     100.00% |       2.6292e-06 |      0.0005 |
|          19 |        1100 |     00:02:39 |     100.00% |       9.6246e-05 |      0.0005 |
|          20 |        1150 |     00:02:48 |     100.00% |       1.3318e-06 |      0.0005 |
|          21 |        1200 |     00:02:58 |     100.00% |       8.8937e-06 |      0.0005 |
|          22 |        1250 |     00:03:10 |     100.00% |       1.9568e-05 |      0.0005 |
|          23 |        1300 |     00:03:24 |     100.00% |       1.8753e-05 |      0.0005 |
|          24 |        1350 |     00:03:35 |     100.00% |       4.6993e-06 |      0.0005 |
|          25 |        1400 |     00:03:46 |     100.00% |       4.3500e-06 |      0.0005 |
|          25 |        1450 |     00:03:57 |     100.00% |       4.9443e-06 |      0.0005 |
|=========================================================================================|

net =
  SeriesNetwork with properties:
    Layers: [7×1 nnet.cnn.layer.Layer]
t =
  2500×1 categorical array
ans =
    0.9852
```


## ამოცანა 2: ნეირონული ქსელის სწავლება ხელნაწერი ციფრების სასწავლო ნაკრებზე - MNIST, Keras ბიბლიოთეკის გამოყენებით

ამოცანის შესასრულებლად გამოიყენება ბიბლიოთეკები: Tensorflow, MNIST, Keras.
Tensorflow ბიბლიოთეკისა და სასწავლო ნაკრების იმპორტირება

```
import tensorflow.compat.v2 as tf
import tensorflow_datasets as tfds
```

Tensorflow 2 ვერსიის გარემოს ჩართვა

```
tf.enable_v2_behavior()
```

ნაბიჯი 1: MNIST სასწავლო ნაკრების ჩატვირთვა
ჩატვირთვა ხდება შემდეგი არგუმენტებით:
* 'mnist': სასწავლო ნაკრების ჩატვირთვა.
* split=['train', 'test']: რეალიზაციების სასწავლო და სატესტო ნაკრებებად დაყოფა
* `shuffle_files`: MNIST სასწავლო ნაკრებ ინახება მხოლოდ ერთ ფაილში, მაგრამ უფრო დიდი ზომის სასწავლო ნაკრებებისთვის რომლებიც რამოდენიმე ფაილში ინახება, საჭიროა მათი არევა ამოცნობის შედეგების გაუმჯობესების მიცნით.
* `as_supervised`: აბრუნებს tuple ცვლადის ტიპს `(img, label)` dict ტიპის მაგივრად `{'image': img, 'label': label}`
* with_info: აბრუნებს tuple ცვლადის ტიპს (tf.data.Dataset, tfds.core.DatasetInfo) დამატებითი ინფორმაციით

```
(ds_train, ds_test), ds_info = tfds.load(
    'mnist',
    split=['train', 'test'],
    shuffle_files=True,
    as_supervised=True,
    with_info=True,
)
```

ამოცნობის არხის აგება
* `ds.map`: Tensorflow-ს მონაცემთა ბაზა ახდენს გამოსახულების მოწოდებას tf.uint8 ფორმატში, როდესაც ნეირონული ქსელის მოდელი ელოდება tf.float32 ფორმატს, ამიტომ ხდება გამოსახულებების ნორმალიზება

* `ds.cache` რადგანაც სასწავლო ნაკრები ეტევა ოპერატიულ მეხსიერებაში, მოხდეს რეალიზაციების ქეშირება მათი რიგითობის არევამდე ოპტიმიზაციის მიზნით.<br/>
__შენიშვნა:__ ქეშირების შემდეგ უნდა მოხდეს გამოსახულებათა შემთხვევითი გარდაქმნები.
* `ds.shuffle`: სასწავლო ნაკრების ელემენტების რიგითობის არევა<br/>
* `ds.batch`: სასწავლო ნაკრების არევის შემდეგ მოხდეს მისი დაჯგუფება, თითოეული ეპოქისთვის უნიკალური ჯგუფის მიწოდების მიზნით.
* `ds.prefetch`: სასწავლო ნაკრების ელემენტების წინასწარ წაკითხვა მყარი დისკიდან, რაოდენობა განისაზღვრება ავტომატურად.

```
def normalize_img(image, label):
  """Normalizes images: `uint8` -> `float32`."""
  return tf.cast(image, tf.float32) / 255., label
ds_train = ds_train.map(
    normalize_img, num_parallel_calls=tf.data.experimental.AUTOTUNE)
ds_train = ds_train.cache()
ds_train = ds_train.shuffle(ds_info.splits['train'].num_examples)
ds_train = ds_train.batch(128)
ds_train = ds_train.prefetch(tf.data.experimental.AUTOTUNE)
```

შეფასების არხის აგება
ტესტირების არხი არის სწავლების არხის მსგავსი, მცირედი განსხვავებებით:
 * არ ხდება `ds.shuffle()`-ის გამოძახება.
 * ქეშირება ხდება დაჯგუფების შემდეგ (რადგანაც ჯგუფები შეიძლება იყოს ერთიდაიგივე, ეპოქებს შორის)

```
ds_test = ds_test.map(
    normalize_img, num_parallel_calls=tf.data.experimental.AUTOTUNE)
ds_test = ds_test.batch(128)
ds_test = ds_test.cache()
ds_test = ds_test.prefetch(tf.data.experimental.AUTOTUNE)
```

ბიჯი 2: სასწავლო მოდელის შექმნა და სწავლება.

შემავალი არხის მიერთება, Keras ბიბლიოთეკასთან.
მოდელის აგება
ნეიროქსელის მოდელი წარმოადგენს სტანდარტულ პირდაპირი გავრცელების ნეირონულ ქსელს.
შემავალ ვექტორს გადაეცემა გამოსახულების მატრიცა განზომილებით 28x28 პიქსელი ხოლო გამომავალი ვექტორი შედგება 10 ელემენტისგან და შეესაბამება ამოსაცნობი რიცხვების რაოდენობას 1-დან 10-ამდე.
ნეიროქსელის მოდელი შედგება შემდეგი ფუნქციებისგან:
* tf.keras.layers.Flatten: ახდენს შემავალი ორგანზომილებიანი მატრიცის 28x28, ერთგანზომილებიან ვექტორზე დაყვანას.
* tf.keras.layers.Dense: ფარული შრის ჩამატება ნეირონების რაოდენობით 128 და "relu" აქტივაციის ფუნქციის მინიჭება.
* tf.keras.layers.Dense: გამომავალი შრის აგება ელემენტების რაოდენბით 10 და "softmax" აქტივაციის ფუნქციის მინიჭება.

```
model = tf.keras.models.Sequential([
  tf.keras.layers.Flatten(input_shape=(28, 28, 1)),
  tf.keras.layers.Dense(128,activation='relu'),
```

```
  tf.keras.layers.Dense(10, activation='softmax')
])
```

- მოდელის კომპილაცია

```
model.compile(
  loss='sparse_categorical_crossentropy',
  optimizer=tf.keras.optimizers.Adam(0.001),
  metrics=['accuracy'], )
```

- მოდელის სწავლება

```
model.fit(
  ds_train,
  epochs=6,
  validation_data=ds_test,
)
```

## ამოცანა 3: ობიექტის ამოცნობა RetinaNet ნეირონული ქსელის გამოყენებით

ამოცანა შესრულებულია დაპროგრამების ენა Python-ზე, Keras ბიბლიოთეკის გამოყენებით.

მოცემული მოდელის დანიშნულება არის ობიექტების ლოკალიზება გამოსახულებაში და ამავე დროს მათი კლასიფიცირება სხვადასხვა კატეგორიებად.

ობიექტის ამოსაცნობად განკუთვნილი მოდელები შეიძლება დაიყოს ერთსაფეხურიან და ორსაფეხურიან მოდელებად. ორსაფეხურიანი მოდელი არის უფრო ზუსტი, თუმცა ეს მიიღწევა ნაკლები სისწრაფის სანაცვლოდ. მოცემულ მაგალითში ჩვენ გამოვიყენებთ RetinaNet ერთსაფეხურიან ამომცნობ მოდელს, რომელიც ზუსტია და ეშვება სწრაფად.

RetinaNet-ი იყენებს პირამიდულ ქსელს, რათა ეფექტურად ამოიცნოს ობიექტები, გამოსახულების სხვადასხვა მასშტაბის შემთხვევაში და შეიცავს ახალ ფოკალური დანაკარგის ფუნქციას, რათა შეამსუბუქოს უკანა და წინა პლანებს შორის არსებული კლასობრივი დისბალანსი.

**წყაროები:**

- RetinaNet Paper
- Feature Pyramid Network Paper
-
- `import os`
- `import re`
- `import zipfile`
-
- `import numpy as np`
- `import tensorflow as tf`
- `from tensorflow import keras`
-
- `import matplotlib.pyplot as plt`
- `import tensorflow_datasets as tfds`

COCO2017 სასწავლო ნაკრების ჩამოტვირთვა

COCO2017-ის სრული ნაკრებით სწავლება მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს რომელიც შედგება დაახლოებით 118000 გამოსახულებისგან, აქედან გამომდინარე სწავლებისთვის ჩვენ გამოვიყენებთ 500 გამოსახულებისგან შემდგარ მცირე ზომის ქვესიმრავლეს.

```
url = "https://github.com/srihari-humbarwadi/datasets/releases/download/v0.1.0/data.zip"
```

```
filename = os.path.join(os.getcwd(), "data.zip")
keras.utils.get_file(filename, url)
with zipfile.ZipFile("data.zip", "r") as z_fp:
    z_fp.extractall("./")
```

– **დამხმარე ფუნქციების აღწერა**

შემომსაზღვრელი ჩარჩოები შეიძლება იყოს წარმოდგენილი მრავალი სახით, ყველაზე გავრცელებული ფორმატებია:

- კუთხეების კოორდინატების შენახვა [xmin, ymin, xmax, ymax]
- ჩარჩოს ცენტრის კოორდინატებისა და მისი ზომების შენახვა [x, y, width, height]

რადგანაც ჩვენ გვესაჭიროება ორივე ფორმატი, ამიტომ შევქმნით ფუნქციას, რომელიც მოახდენს ამ ორ ფორმატს შორის გარდაქმნას.

```
def swap_xy(boxes):
  """ანაცვლებს ჩარჩოების x და y კოორდინატების რიგითობას
  არგუმენტები:
    ჩარჩოები: ტენზორი ზომებით `(num_boxes, 4)` - წარმოადგენს შემომსაზღვრელ ჩარჩოებს.
  აბრუნებს:  წანაცვლებულ ჩარჩოებს იგივე ზომებით

  """
    return tf.stack([boxes[:, 1], boxes[:, 0], boxes[:, 3], boxes[:, 2]],
                    axis=-1)

def convert_to_xywh(boxes):
    """ცვლის ჩარჩოს ფორმატს - ცენტრი, სიგანე და სიმაღლე

    არგუმენტები:
      ჩარჩოები: ტენზორი რანგით 2 ან უფრო მაღალი და ზომებით
      `(..., num_boxes, 4)`. წარმოადგენს შემომსაზღვრელ ჩარჩოს,
      სადაც თითოეულ ჩარჩოს აქვს ფორმატი `[xmin, ymin, xmax, ymax]`.

    აბრუნებს:
      გარდაქმნილ ჩარჩოებს იგივე ზომებით რაც არგუმენტ boxes გააჩნია.
    """
    return tf.concat(
      [(boxes[...,:2]+boxes[...,2:]) / 2.0,boxes[...,2:]-boxes[..., :2]],
        axis=-1,
    )

def convert_to_corners(boxes):
    """გარდაქმნის ჩარჩოს ფორმატს კუთხის კოორდინატებზე

    არგუმენტები:
      ჩარჩოები: ტენზორი რანგით 2 ან უფრო მაღალი, ზომებით `(..., num_boxes,
4)`
        წარმოადგენს შემომსაზღვრელ ჩარჩოებს სადაც თითოეულ ჩარჩოს აქვს
ფორმატი
        `[x, y, width, height]`.

    აბრუნებს:
```

```
        გარდაქმნილ ჩარჩოებს იგივე ზომებით რაც არგუმენტ boxes გააჩნია.
    """
 return tf.concat(
   [boxes[...,:2]-boxes[...,2:] / 2.0,boxes[...,:2]+boxes[...,2:] / 2.0],
        axis=-1,
    )
```

თანაკვეთის გაერთიანებასთან ფარდობის დაწყვილებულად გამოთვლა

როგორც მოგვიანებით ვნახავთ ამ მაგალითში, ანკერულ ჩარჩოებს მივაკუთვნებთ ეტალონურ ჩარჩოებს მათი გადაფარვის ხარისხის მიხედვით. ამისათვის საჭირო იქნება გამოითვალოს ყველა ანკერულ და ეტალონურ ჩარჩოს წყვილს შორის თანაკვეთის ფარდობა მათ გაერთიანებასთან.

```
def compute_iou(boxes1, boxes2):
    """ითვლის მოცემული ჩარჩოების ნაკრებების თანაკვეთის ფარდობას მათ
გაერთიანებასთან დაწყვილებულად.

  არგუმენტი:
      boxes1: ტენზორი ზომებით `(N, 4)` შემომსაზღვრელი ჩარჩოებია,
              სადაც თითოეულ ჩარჩოს აქვს შემდეგი ფორმატი -
                  `[x, y, width, height]`.
      boxes2: ტენზორი ზომებით `(M, 4)` შემომსაზღვრელი ჩარჩოებია,
              სადაც, თითოეულ ჩარჩოს აქვს შემდეგი ფორმატი -
                  `[x, y, width, height]`.
    აბრუნებს:
      დაწყვილებული ჩარჩოების თანაკვეთის მათივე გაერთიანებასთან ფარდობით
მიღებულ მატრიცას, ზომებით `(N, M)`, სადაც i-ურ სტრიქონსა და j-ურ სვეტში
      არსებული ელემენტის მნიშვნელობა boxes1 და boxes2 სიმრავლეებიდან i-ური
და j-ური ჩარჩოების თანაკვეთის ფარდობაა მათივე გაერთიანებასთან.
    """
    boxes1_corners = convert_to_corners(boxes1)
    boxes2_corners = convert_to_corners(boxes2)
    lu = tf.maximum(boxes1_corners[:, None, :2], boxes2_corners[:, :2])
    rd = tf.minimum(boxes1_corners[:, None, 2:], boxes2_corners[:, 2:])
    intersection = tf.maximum(0.0, rd - lu)
    intersection_area = intersection[:, :, 0] * intersection[:, :, 1]
    boxes1_area = boxes1[:, 2] * boxes1[:, 3]
    boxes2_area = boxes2[:, 2] * boxes2[:, 3]
    union_area = tf.maximum(
        boxes1_area[:, None] + boxes2_area - intersection_area, 1e-8
    )
    return tf.clip_by_value(intersection_area / union_area, 0.0, 1.0)

def visualize_detections(
 image, boxes, classes, scores, figsize=(7,7), linewidth=1,color=[0,0,1]
):
    """ამოცნობის ვიზუალიზაცია"""
    image = np.array(image, dtype=np.uint8)
    plt.figure(figsize=figsize)
    plt.axis("off")
    plt.imshow(image)
    ax = plt.gca()
    for box, _cls, score in zip(boxes, classes, scores):
```

```
            text = "{}: {:.2f}".format(_cls, score)
            x1, y1, x2, y2 = box
            w, h = x2 - x1, y2 - y1
            patch = plt.Rectangle(
             [x1, y1], w, h, fill=False, edgecolor=color, linewidth=linewidth
            )
            ax.add_patch(patch)
            ax.text(
                x1,
                y1,
                text,
                bbox={"facecolor": color, "alpha": 0.4},
                clip_box=ax.clipbox,
                clip_on=True,
            )
        plt.show()
        return ax
```

**ანკერების გენერატორის იმპლემენტაცია**

ანკერულ ჩარჩოს აქვს ფიქსირებული ზომები და გამოიყენება ამოსაცნობი ობიექტის შემომსაზღვრელი ჩარჩოს ადგილმდებარეობის პროგნოზირებისათვის. ის ამას ახდენს ობიექტის ცენტრსა და ანკერულ ჩარჩოს ცენტრს შორის არსებული დაშორების რეგრესირებით, შემდეგ ის იყენებს ანკერული ჩარჩოს სიგანეს და სიმაღლეს რათა მოახდინოს ამოსაცნობი ობიექტის ფარდობითი მასშტაბი. RetinaNet-ის შემთხვევაში ნიშანთა რუკის თითოეულ ლოკაციას გააჩნია ცხრა ანკერული ჩარჩო. (სამი სხვადასხვა მასშტაბითა და სამი თანაფარდობით)

```
class AnchorBox:
    """აგენერირებს ანკერულ ჩარჩოებს.

    მოცემული კლასი ანხორციელებს ოპერაციებს ანკერული ჩარჩოების
დასაგენერირებლად
    ნიშანთა რუკებისათვის, ბიჯებით `[8, 16, 32, 64, 128]`. სადაც თითოეული
ანკერული
    ჩარჩოს აქვს შემდეგი ფორმატი `[x, y, width, height]`.

    ცვლადები:
      aspect_ratios: float ტიპის რიცხვების ჩამონათვალი რაც წარმოადგენს
      ანკერული ჩარჩოების გვერდების თანაფარდობას ნიშანთა რუკის თითოეულ
ლოკაციაზე.
      scales: float ტიპის რიცხვების ჩამონათვალი რაც წარმოადგენს ანკერული
ჩარჩოების მასშტაბს ნიშანთა რუკის თითოეულ ლოკაციაზე.
      num_anchors: ანკერული ჩარჩოების რაოდენობაა ნიშანთა რუკის თითოეულ
ლოკაციაზე.
      areas: float ტიპის რიცხვების ჩამონათვალი, რაც წარმოადგენს ანკერული
ჩარჩოების ფართობებს თითოეული ნიშანთა რუკისათვის, ნიშანთა პირამიდაში.
      strides: float ტიპის რიცხვების ჩამონათვალი რომელიც წარმოადგენს ბიჯებს
თითოეული ნიშანთა რუკისათვის, ნიშანთა პირამიდაში.
    """

    def __init__(self):
        self.aspect_ratios = [0.5, 1.0, 2.0]
```

```
        self.scales = [2 ** x for x in [0, 1 / 3, 2 / 3]]

        self._num_anchors = len(self.aspect_ratios) * len(self.scales)
        self._strides = [2 ** i for i in range(3, 8)]
        self._areas = [x ** 2 for x in [32.0, 64.0, 128.0, 256.0, 512.0]]
        self._anchor_dims = self._compute_dims()

    def _compute_dims(self):
        """ითვლის ანკერული ჩარჩოს ზომებს, ყველა თანაფარდობისა და
მასშტაბისათვის,
        ნიშანთა პირამიდის ყველა დონეზე.
        """
        anchor_dims_all = []
        for area in self._areas:
            anchor_dims = []
            for ratio in self.aspect_ratios:
              anchor_height = tf.math.sqrt(area / ratio)
              anchor_width = area / anchor_height
              dims = tf.reshape(
               tf.stack([anchor_width, anchor_height], axis=-1), [1, 1, 2]
                )
                for scale in self.scales:
                    anchor_dims.append(scale * dims)
            anchor_dims_all.append(tf.stack(anchor_dims, axis=-2))
        return anchor_dims_all

    def _get_anchors(self, feature_height, feature_width, level):
        """აგენერირებს ანკერულ ჩარჩოს, მოცემული ნიშანთა რუკის ზომისა და
დონისათვის

        არგუმენტები:
 feature_height: მთელი რიცხვი, რომელიც წარმოადგენს ნიშანთა რუკის სიმაღლეს.
 feature_width: მთელი რიცხვი, რომელიც წარმოადგენს ნიშანთა რუკის სიგანეს.
     level: მთელი რიცხვი, რომელიც ნიშანთა რუკის დონეა ნიშანთა პირამიდაში.

    აბრუნებს:
       ანკერულ ჩარჩოებს შემდეგი ზომებით
          `(feature_height * feature_width * num_anchors, 4)`
        """
        rx = tf.range(feature_width, dtype=tf.float32) + 0.5
        ry = tf.range(feature_height, dtype=tf.float32) + 0.5
        centers = tf.stack(tf.meshgrid(rx, ry), axis=-1) *
                     self._strides[level - 3]
        centers = tf.expand_dims(centers, axis=-2)
        centers = tf.tile(centers, [1, 1, self._num_anchors, 1])
        dims = tf.tile(
       self._anchor_dims[level - 3], [feature_height, feature_width, 1, 1]
        )
        anchors = tf.concat([centers, dims], axis=-1)
        return tf.reshape(
          anchors, [feature_height * feature_width * self._num_anchors, 4]
        )
```

```
    def get_anchors(self, image_height, image_width):
        """აგენერირებს ანკერულ ჩარჩოებს ნიშანთა პირამიდის ყველა ნიშანთა
რუკისათვის.

        არგუმენტები:
          image_height: შემავალი გამოსახულების სიმაღლე.
          image_width: შემავალი გამოსახულების სიგანე.

        აბრუნებს:
        ერთ ტენზორად დაჯგუფებულ ანკერულ ჩარჩოებს ყველა ნიშანთა
რუკისათვის,
        ზომებით -  `(total_anchors, 4)`

        """
        anchors = [
            self._get_anchors(
                tf.math.ceil(image_height / 2 ** i),
                tf.math.ceil(image_width / 2 ** i),
                i,
            )
            for i in range(3, 8)
        ]
        return tf.concat(anchors, axis=0)
```

– მონაცემთა პრეპარირება

გამოსახულებების პრეპარირებაა შედგება ორი ბიჯისგან:

- გამოსახულების მასშტაბირება: გამოსახულებების მასშტაბირება ხდება ისე, რომ უმცირესი გვერდი შედგება 800 პიქსელისგან. მასშტაბირების შემდეგ თუ უდიდესი გვერდი აჭარბებს 1333 პიქსელს, მისთვის ხდება მაქსიმალური ზღურბლის დაწესება 1333 პიქსელის სახით;
- ცვლილებების ზედდება: შემთხვევითი მასშტაბის რხევები და ჰორიზონტალური ბრუნები არის ერთადერთი ცვლილებები რომელთა გამოყენებაც ხდება გამოსახულებებზე.

გამოსახულებებთან ერთად, ხდება შემომსაზღვრელი ჩარჩოების მასშტაბირება და მობრუნება, საჭიროების მიხედვით.

```
def random_flip_horizontal(image, boxes):
    """ აბრუნებს გამოსახულებას ჰორიზონტალურად 50%-იანი ალბათური შანსით.
    არგუმენტები:
      image: სამგანზომილებიანი ტენზორი ზომებით `(height, width, channels)`
წარმოადგენს გამოსახულებას.
      boxes: ტენზორი ზომებით `(num_boxes, 4)` წარმოადგენს შემომსაზღვრელ
ჩარჩოებს,რომელთაც აქვთ ნორმალიზებული კოორდინატები.

    აბრუნებს:
      შემთხვევითად შემობრუნებულ გამოსახულებებსა და ჩარჩოებს
    """
    if tf.random.uniform(()) > 0.5:
      image = tf.image.flip_left_right(image)
      boxes = tf.stack(
      [1 - boxes[:, 2], boxes[:, 1], 1 - boxes[:, 0], boxes[:, 3]], axis=-1
```

```
        )
    return image, boxes

def resize_and_pad_image(
    image, min_side=800.0, max_side=1333.0, jitter=[640, 1024], stride=128.0
):
    """ახდენს გამოსახულების მასშტაბირებასა და მის შევსებას, გვერდების
თანაფარდობის
      დაცვით

    1. ახდენს გამოსახულების მასშტაბირებას ისე, რომ მისი უმცირესი გვერდი
       `min_side`-ის მნიშვნელობის ტოლია.
    2. თუ უდიდესი გვერდი `max_side`-ის მნიშვნელობის ტოლია, მოხდეს
       გამოსახულების მასშტაბირება რათა უდიდესი გვერდი გაუტოლდეს
`max_side`-ს.
    3. შეივსოს გამოსახულება 0-ებით მარჯვენა და ქვედა მხარეს რათა გაყოფადი
გახდეს
    `stride`-ზე

    არგუმენტები:
    image:     სამგანზომილებიანი ტენზორი ზომებით `(height, width, channels)`
               წარმოადგენს გამოსახულებას.
    min_side: გამოსახულების უმცირესი გვერდი დაიყვანება მოცემული ცვლადის
               მნიშვნელობაზე თუ `jitter`-ის მნიშვნელობა არის None.
   max_side: თუ მასშტაბირების შემდეგ გამოსახულების უდიდესი გვერდი აჭარბებს
               მოცემული ცვლადის მნიშვნელობას, მასშტაბირება ხდება ისე, რომ
               უდიდესი გვერდი გაუტოლდეს მოცემული ცვლადის მნიშვნელობას.
  jitter:   float ტიპის რიცხვების ჩამონათვალი რომელიც შეიცავს მინიმალურ და
               მაქსიმალურ ზომებს მასშტაბირებისა და რხევებისათვის.
      stride:   უმცირესი ნიშანთა რუკის ბიჯი ნიშანთა პირამიდაში.
               გამოითვლება შემდეგნაირად `image_size / feature_map_size`.

    აბრუნებს:
      image: მასშტაბირებულ და შევსებულ გამოსახულებას.
      image_shape: გამოსახულების ფორმა შევსებამდე.
      ratio: გამოსახულების მასშტაბირების კოეფიციენტი.
    """
    image_shape = tf.cast(tf.shape(image)[:2], dtype=tf.float32)
    if jitter is not None:
        min_side = tf.random.uniform((), jitter[0], jitter[1], dtype=tf.float32)
    ratio = min_side / tf.reduce_min(image_shape)
    if ratio * tf.reduce_max(image_shape) > max_side:
        ratio = max_side / tf.reduce_max(image_shape)
    image_shape = ratio * image_shape
    image = tf.image.resize(image, tf.cast(image_shape, dtype=tf.int32))
    padded_image_shape = tf.cast(
        tf.math.ceil(image_shape / stride) * stride, dtype=tf.int32
    )
    image = tf.image.pad_to_bounding_box(
```

```
        image, 0, 0, padded_image_shape[0], padded_image_shape[1]
    )
    return image, image_shape, ratio

def preprocess_data(sample):
    """იყენებს პრეპარირების ბიჯს ერთ ნიმუშზე

    არგუმენტები:
      sample: dict ტიპის ცვლადი რომელიც წარმოადგენს ერთ სასაწავლო ნიმუშს.

    აბრუნებს:
      image:     მასშტაბირებული და შევსებული გამოსახულება შემთხვევითი
                 ჰორიზონტალური ბრუნით.
      bbox:      შემომსაზღვრელი ჩარჩოები ზომებით `(num_objects, 4)`,
            სადაც თითოეულ ჩარჩოს აქვს ფორმატი `[x, y, width, height]`.
    class_id: ტენზორი, რომელიც ობიექტების კლასის საიდენტიფიკაციო
                 ნომერია, ზომებით `(num_objects,)`.
    """
    image = sample["image"]
    bbox = swap_xy(sample["objects"]["bbox"])
    class_id = tf.cast(sample["objects"]["label"], dtype=tf.int32)

    image, bbox = random_flip_horizontal(image, bbox)
    image, image_shape, _ = resize_and_pad_image(image)

    bbox = tf.stack(
        [
            bbox[:, 0] * image_shape[1],
            bbox[:, 1] * image_shape[0],
            bbox[:, 2] * image_shape[1],
            bbox[:, 3] * image_shape[0],
        ],
        axis=-1,
    )
    bbox = convert_to_xywh(bbox)
    return image, bbox, class_id
```

➢ ჭდეების კოდირება

ჭდეები რომლებიც შედგება შემომსაზღვრელი ჩარჩოებისა და კლასის საიდენტიფიკაციო ნომრებისგან, საჭიროა მოხდეს მათი მიზნის ვექტორებად გარდაქმნა სწავლების პროცესში. ეს გარდაქმნა შედგება შემდეგი ბიჯებისგან:

- ანკერული ჩარჩოების გენერირება მოცემული გამოსახულების ზომებისათვის.
- ეტალონური ჩარჩოების ანკერული ჩარჩოებისათვის მინიჭებაა.
